



04.04.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მესამე სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №2

1. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ირმა გელაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი შენგელია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვასილ მშენიერაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სერგო მეთოფიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ილია დევიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ანიკო ფარჯანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“
მარიამ ცქიფურიშვილი	თბილისის საქალაქო სასამართლო
თამარ დევდარიანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## *2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები*

---

- 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა;
- პროგრამა 3.1.1. აქტივობის შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის გაცნობა;
- 3.3.1 აქტივობის შესაბამისად, მოსამართლეთა პერიოდული შეფასების პროექტის განხილვა;
- სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.

## *3. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა*

---

2018 წლის 4 აპრილის მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 9 წევრი: ირმა გელაშვილი, ირაკლი შენგელია, სერგო მეთოფიშვილი, ვასილ მშვენიერაძე, ილია დევიძე, მარიამ ცქიფურიშვილი, თამარ პაპაშვილი, ვახტანგ გარდაფხაძე და ანიკო ფარჯიანი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (წინააღმდეგი - ი. გელაშვილი) სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე უარი ეთქვა ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წარმომადგენლებს. ჯგუფის წევრები გაეცნენ 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიშის სამუშაო ვერსიას, მოსამართლეთა კანდიდატთა სარეზერვო სიას, განიხილეს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების პროექტი და დაგეგმეს სამომავლოდ შესასრულებელი აქტივობები.

#### 4. მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მესამე სამუშაო ჯგუფის წევრთა მოსაზრებით 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიში საჭიროებს განახლებას და ახალი ინფორმაციის შეტანას.

ჯგუფმა განიხილა მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სია, ისაუბრა მის დანიშნულებაზე, მიზანზე და მოიწონა იგი.

ი. გელაშვილის თქმით, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 3.3.1 აქტივობა CCJE-ს, ENCJ-ს რეკომენდაციების მიხედვით ითვალისწინებს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემას. მითითებული დასკვნებისა და ევროპის საბჭოს, ასევე, ექსპერტ ალემ ზალარისა და პილ ალბერსის რეკომენდაციების საფუძველზე ი. გელაშვილმა წარმოადგინა პროექტის პირველადი მონახაზი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს უვადოდ დანიშნული მოსამართლეების პერიოდული შეფასება მოსამართლეთა მიერვე არჩეული შეფასების საბჭოს მეშვეობით. აღნიშნული შეფასების მიზანია მართლმსაჯულების ხარისხის შენარჩუნება და მოსამართლეთა დაწინაურება.

ამასთან, ი. გელაშვილის თქმით, მითითებული პროექტი მხოლოდ სამუშაო ვერსიას, რომელიც უნდა განიხილებოდეს მოსამართლეებთან ფართო დისკუსიის ფორმატში.

ჯგუფის თანამომხსენებელი ი. შენგელია, ასევე ჯგუფის წევრები: ს. მეთოფიშვილი და ვ. მშვენიერაძე არ დაეთანხმნენ აღნიშნულ პროექტს, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ იგი მიზნად ისახავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ალტერნატიული ორგანოს შექმნას. მათი აზრით, აღნიშნული არ უნდა რეგულირდებოდეს საქართველოს ორგანული კანონით. ისინი არ ეთანხმებიან მოსამართლეთა პერიოდული შეფასების ვადებს, შეფასების საბჭოს შემადგენლობას, მოსამართლეთა შეფასების კომპონენტებსა და პროცესებს. სხდომაზე ითქვა, რომ პროექტი საჭიროებს დახვეწას და მოსამართლეებთან შეთანხმებას. ჯგუფის წევრებმა ი. შენგელიამ, ვ. მშვენიერაძემ და ს. მეთოფიშვილმა განაცხადეს, რომ საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავებენ პროექტის განსხვავებულ ვერსიას, რომელიც მისაღები იქნება სასამართლო კორპუსისათვის. შესაბამისად, ჯგუფის აღნიშნული წევრების მიერ დაიგეგმა შესაბამისი აქტის მომზადება მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემაზე.

მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებმა სხდომაზე განიხილეს ის აქტივობები, რომელიც ჯერ არ შესრულებულა. კერძოდ: 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ აქტივობებზე: მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების განახლება და პროცედურის დახვეწა;<sup>1</sup> მოსამართლეთა და მოწვეული სპეციალისტების შერჩევის პროცესის გაუმჯობესება;<sup>2</sup> ხარისხის გაზომვის ინდიკატორების განვითარება;<sup>3</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოში დანერგილი ორგანიზაციული სტრუქტურის მუშაობის შეფასება;<sup>4</sup> სასამართლო მორიგების განვითარება და გააქტიურება;<sup>5</sup> ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის პრაქტიკის შესწავლა.<sup>6</sup>

ჯგუფის წევრების მიერ სამომავლოდ დაიგეგმა აღნიშნული ქვეაქტივობების მიხედვით წინადადებების შემუშავება/წარმოდგენა მათი შესრულების თაობაზე.

<sup>1</sup> პროგრამა 3.2.1-ის მეორე აქტივობა

<sup>2</sup> პროგრამა 3.2.5-ის პირველი აქტივობა

<sup>3</sup> პროგრამა 3.4.1-ის პირველი, მეორე და მესამე აქტივობები

<sup>4</sup> პროგრამა 4.3.1-ის პირველი აქტივობა

<sup>5</sup> პროგრამა 4.4.4-ის პირველი, მეორე და მესამე აქტივობები

<sup>6</sup> პროგრამა 4.4.5-ის პირველი აქტივობა

## 5. თანდართული დოკუმენტები

---

- მესამე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 4 აპრილის შეხვედრის დღის წესრიგი;
- მოსამართლეთა პერიოდული შეფასების პროექტი.

თანამომხმდებლები:

ი. ბერიძე, ივანე კვარაცხელია

ი. ბერიძე, ირაკლი მუხველია

სხდომის მდივანი:

ი. ბერიძე, მინი დეპუტატისაშვილი

---

## III სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

---

შეხვედრის ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თარიღი: 4 აპრილი, 2018

დრო: 12:00 საათი

---

### განსახილველი საკითხები:

I. 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ მომზადებული ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა;

II. 3.1.1. აქტივობის შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის გაცნობა;

III. 3.3.1 აქტივობის შესაბამისად, მოსამართლეთა პერიოდული შეფასების პროექტის განხილვა;

IV. სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.



**საქართველოს ორგანული კანონი**  
**„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში**  
**ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41,08/12/2009, მუხ. 300) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ორგანული კანონის 36<sup>6</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 20<sup>1</sup> პუნქტი:

„20<sup>1</sup>. შეფასების საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის გასაჩივრების შემთხვევაში საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შეფასების საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) შეფასების საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის გაუქმებისა და ხელახალი შეფასების ჩატარების მიზნით შეფასების საბჭოსათვის მასალების გადაგზავნის შესახებ.“

2. ორგანული კანონის 36<sup>7</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5 პუნქტი:

„5. შეფასების საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის გაუქმებისა და ხელახალი შეფასების ჩატარების მიზნით შეფასების საბჭოსათვის მასალების გადაგზავნის შემთხვევაში შეფასების საბჭო არსებული მასალების საფუძველზე ატარებს ხელახალ შეფასებას. ახალი შემფასებლები აირჩევა წილისყრით. წილისყრასა და შეფასების პროცესში არ მონაწილეობენ ის წევრები, რომლებმაც განახორციელეს შეფასება. შეფასების საბჭო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ მასალების გადაგზავნიდან თვენახევრის მანძილზე ამზადებს დასკვნას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად.“

3. ორგანულ კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 36<sup>9</sup> – 36<sup>13</sup> მუხლები:

**„მუხლი 36<sup>9</sup>. მოსამართლეთა პერიოდული შეფასება**

1. მოსამართლე ექვემდებარება როგორც პერიოდულ, ისე რიგგარეშე შეფასებას.
2. მოსამართლეთა შეფასების მიზანია მართლმსაჯულების ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება. აგრეთვე, მოსამართლეთა დაწინაურების სისტემის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა. რიგგარეშე შეფასების მიზანს წარმოადგენს გასული შეფასების შედეგების გამოსწორება დაწინაურების მიზნით ან მის გარეშე, აგრეთვე, სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე განაცხადის წარდგენა.

3. პერიოდულ შეფასებას ექვემდებარება მოსამართლე, რომელიც გამწესებულია თანამდებობაზე 10 წლის ვადით ან უვადოდ საპენსიო ასაკის მიღწევამდე.
4. მოსამართლე ექვემდებარება შეფასებას თანამდებობაზე უვადოდ გამწესებიდან 3 წლის შემდგომ და ყოველ მომდევნო 4 წელიწადში ერთხელ.
5. 10 წლის ვადით გამწესებულ მოსამართლეთა პერიოდული შეფასება ხორციელდება მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 2 წლით ადრე.
6. მოსამართლის რიგგარეშე შეფასება ხორციელდება თავად მოსამართლის ინიციატივით. რიგგარეშე შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის საქმიანობის ბოლო შეფასებიდან 1 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ.
7. შეფასებას არ ექვემდებარება:
  - ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;
  - ბ) თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლე;
  - გ) ის მოსამართლე, რომელსაც შესაფასებელი პერიოდისათვის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე დარჩენილი აქვს 2 წელზე ნაკლები;
  - დ) მოსამართლე, რომლის საქმიანობაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას შეფასდა 4-ჯერ მაინც.

### **მუხლი 36<sup>10</sup>. მოსამართლეთა შეფასების საბჭო**

1. მოსამართლეთა შეფასების საბჭო (შემდგომში - შეფასების საბჭო) არის ამ კანონის საფუძველზე, მოსამართლეთა შეფასებისა და დაწინაურების სისტემის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს მოსამართლეთა საქმიანობის შეფასებას.
2. შეფასების საბჭო კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს საერთო სასამართლოს მოსამართლეებს და დასაბუთებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.
3. შეფასების საბჭო შედგება 15 მოსამართლისაგან, რომელთაგან 6 უზენაესი, 5 სააპელაციო სასამართლოების, ხოლო 3 რაიონული/საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები არიან. შეფასების საბჭოს ex officio წევრს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს უხუცესი (საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლედ საქმიანობის ყველაზე დიდი სტაჟის მქონე პირი), რომელიც ამავდროულად შეფასების საბჭოს თავმჯდომარეა.
4. შეფასების საბჭოს წევრებს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია დამსწრე წევრთა უმრავლესობით. შეფასების საბჭოს წევრები მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ უნდა იქნენ სპეციალიზაციის გათვალისწინებით ისე, რომ შეფასების საბჭოს ხუთი წევრი სისხლის სამართლის საქმეთა, ხუთი - სამოქალაქო სამართლის საქმეთა, ხოლო ხუთი - ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველი მოსამართლე უნდა იყოს.



5. შეფასების საბჭოს წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით. შეფასების საბჭოს წევრის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია. შეფასების საბჭოს წევრი ამავდროულად არ შეიძლება იყოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

### **მუხლი 36<sup>11</sup>. მოსამართლეთა შეფასების კომპონენტები**

1. მოსამართლეთა შეფასება ხორციელდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი კომპონენტების საფუძველზე. შეფასების შედეგად შესაფასებელი კანდიდატი აგროვებს ჯამურ 100 ქულას, საიდანაც შეფასების შედეგების 80%-ი ხარისხობრივ კომპონენტს, ხოლო 20%-ი რაოდენობრივი შეფასების შედეგებს მოიცავს.
2. ხარისხობრივი კომპონენტი მოიცავს მოსამართლის კომპეტენციის შეფასებას, რომელიც ფასდება ისეთი ინდიკატორებით, როგორებიცაა: მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა, სასამართლო სამართალწარმოების უნარი, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; კომუნიკაციის უნარი, პატივისცემა მხარეების და ადვოკატების მიმართ; მენტორობა და ახლად დანიშნული მოსამართლეების სწავლება; პროფესიული წვრთნა და სასწავლო ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.  
2<sup>1</sup>. მოსამართლის საქმიანობის ხარისხობრივი შეფასება განისაზღვრება ქულათა სისტემით. თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისაგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:
  - ა) მოსამართლის პროფესიული კომპეტენცია - 25 ქულა;
  - ბ) წერის უნარი - 25 ქულა;
  - გ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი და პროფესიული თვისებები - 20 ქულა;
  - დ) პროფესიული წვრთნა - 10 ქულა.
3. რაოდენობრივი კომპონენტები მოიცავს:
  - ა) განხილულ საქმეთა რაოდენობა - 10 ქულა;
  - ბ) საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - 5 ქულა;
  - გ) გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - 5 ქულა.

### **მუხლი 36<sup>12</sup>. მოსამართლეთა შეფასების პროცესი**

1. შეფასების საბჭოს წევრთა მიერ შეფასების კომპონენტები ფასდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთიანდება საერთო შეფასებაში. შეფასების შედეგების შეჯამების შედეგად შეფასების საბჭო იღებს დასაბუთებულ დასკვნას. მოსამართლეთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად.
2. შეფასების პერიოდის დაწყებამდე შეფასების საბჭო წილისყრით შეარჩევს საბჭოს ორ წევრს შეფასების განსახორციელებლად, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ შეფასების პროცედურებს.
3. შესაფასებელ მოსამართლეს უფლება აქვს, დასაბუთებული შუამდგომლობით

მოითხოვოს შეფასების საბჭოს წევრის აცილება, თუ არსებობს ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის საბჭოს ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში შეფასების საბჭოს წევრი ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს შესაბამისი მოსამართლის შეფასების პროცესში. აცილების შესახებ საკითხს წყვეტს შეფასების საბჭო ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს შეფასების საბჭოს ის წევრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება.

4. მოსამართლეთა შეფასების დაწყებამდე შეფასების საბჭო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე აქვეყნებს შესაფასებელ მოსამართლეთა სიას. შეფასების საბჭო შეფასების პერიოდის დაწყების თაობაზე აცნობებს მოსამართლესა და სასამართლოს თავმჯდომარეს. შესაფასებელ მოსამართლეს თვითშეფასების წარსადგენად განუსაზღვრავს 10 დღიან ვადას. თვითშეფასების წარდგენა მოსამართლის უფლებაა და არა ვალდებულება.
5. სასამართლოს თავმჯდომარე, შეფასების საბჭოს წარუდგენს კონკრეტული მოსამართლის მიერ განხილულ, წარმოებაში არსებული საქმეთა სიას, მათი შედეგებისა და გასაჩივრების თაობაზე ინფორმაციის მითითებით. ასევე, ინფორმაციას მოსამართლის აპარატის, მოსამართლესთან სამსახურეობრივად დაკავშირებული სხვა პირების თაობაზე.
6. შეფასების საბჭო უფლებამოსილია შეფასების პერიოდში მოითხოვოს დამატებით ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შეფასების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელებისათვის.
7. შეფასების საბჭო პერიოდული და რიგგარეშე შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტების/ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას ახორციელებს არაუმეტეს 3 თვის მანძილზე. შეფასების საბჭო დასაბუთებულ დასკვნას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მიღებიდან 1 თვის მანძილზე.
8. შეფასების საბჭოს წევრები შეფასების განსახორციელებლად შეისწავლიან საქმეებს, ესწრებიან სასამართლოს სხდომებს, გამოითხოვენ შეფასების პერიოდის ან/და შეფასების პერიოდამდე გამართული სასამართლო სხდომების აუდიო და ვიდეო ჩანაწერებს, იუსტიციის უმაღლესი სკოლიდან გამოითხოვენ ინფორმაციას შესაფასებელი მოსამართლის პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ, პირადად ხვდებიან შესაფასებელ მოსამართლესა და მასთან სამსახურეობრივად დაკავშირებულ პირებს და ითხოვენ მათგან შეფასების პროცესისათვის საჭირო ინფორმაციას. შემფასებელმა შესაფასებელ მოსამართლეს არ შეიძლება დაუსვას ისეთი კითხვები, რომლებიც შინაარსობრივად შეიძლება კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნას უტოლდებოდეს. დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის მოძიება, რომელიც ამ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით მოსამართლის შეფასებასთან დაკავშირებული არ არის. მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია

მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული მიზნებისათვის. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი არ უნდა ხელყოფდეს შესაფასებელი მოსამართლის დამოუკიდებლობას.

9. შეფასების საბჭოს საქმიანობისა და მატერიალური-ტექნიკური მხარდაჭერას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი.
10. შეფასების საბჭოს ის წევრები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ მოსამართლის შეფასებას, შეისწავლიან შესაფასებელი მოსამართლის მიერ განხილულ არანაკლებ 7 საქმეს, მათ შორის 3 ისეთ საქმეს, რომლებზეც გამოტანილი შემაჯამებელი/საბოლოო გადაწყვეტილებები ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ გააუქმა/ნაწილობრივ გააუქმა. შესასწავლი საქმეების შერჩევა ხდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.
11. საქმეთა შეფასების შედეგი არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი.
12. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეჯამების შედეგად, მოკვლეული მასალების შეფასების საფუძველზე შეფასების საბჭო იღებს დასაბუთებულ დასკვნას. საბჭოს მიერ მიღებული დასკვნა კონფიდენციალურია.
13. შეფასებულ მოსამართლეს უფლება აქვს გაეცნოს შეფასების საბჭოს მიერ წარდგენილ დასკვნას. მოსამართლე უფლებამოსილია შეფასების შედეგების გაცნობიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დასკვნაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება შეფასების საბჭოს მიერ წარდგენილ დასკვნას, იგი უფლებამოსილია გაასაჩივროს აღნიშნული დასკვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში ამ კანონის 36<sup>6</sup> და 36<sup>7</sup> მუხლების შესაბამისად.

### **მუხლი 36<sup>13</sup>. მოსამართლეთა შეფასების საბჭოს დასკვნის სახეები**

1. მოსამართლეთა შეფასების საბჭო შედეგების შეჯამების საფუძველზე იღებს ერთ-ერთ დასკვნას:
  - ა) მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს - 91 ქულაზე მეტი;
  - ბ) მოსამართლე ნაწილობრივ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს - 81 ქულაზე მეტი;
  - გ) მოსამართლე ვერ აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს - 81 ქულაზე ნაკლები.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ვერ დააკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს, მას ეძლევა რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო ტრეინინგების გავლის თაობაზე.”

3. ორგანული კანონის 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 41. მოსამართლეთა დაწინაურება**

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლეთა შეფასების საბჭოს მიერ წარდგენილი დასკვნისა და დაწინაურების მსურველ კანდიდატებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. ვაკანტურ პოზიციაზე მოსამართლის დაწინაურებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს ღია კენჭისყრას და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დაწინაურების თაობაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, წერილობით აყალიბებს თავის განსხვავებული აზრს რომელიც დაერთვება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გ. მარგველაშვილი